სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/296

ქ. თბილისი 18 ოქტომერი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სტუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრის, ნ. ხუნდაძის და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, ო. გელაშვილის მოხსენებითი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის №23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, 4 წლის ვადით, შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
   პროფესორი – 400 სთ (საგანთა ჯგუფი იხ. დანართი 1).
2. გამოცხადდეს ღია კონკურსი სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, 4 წლის ვადით, შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:
   პროფესორი – 400 სთ (საგანთა ჯგუფი იხ. დანართი 2);
   პროფესორი – 400 სთ (საგანთა ჯგუფი იხ. დანართი 3);
   პროფესორი – 200 სთ (საგანთა ჯგუფი იხ. დანართი 4).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე